


სახორცილო გაზეთი



გ ა ზ ე თ ი ა ს ჟ ა ნ ა :

ხ ე ლ ი ს - მ ა რ ქ ა შ ი ა დ ე ბ ა :

გაზეთის თვილი სიმა	გაზეთის წყნალობა:
1 მ.	3 მ.
2 მ.	2 მ.
3 მ.	1 მ.

მეხუთე წელიწადი გ ა მ მ დ ი ს თ ვ ე შ ი ო რ ა ჯ ე რ

თფილისის «სახორცილო გაზეთის» რედაქციის
გ. წერეთლის და მის. (დრუკერის)
სტამბაში, სერგაევის ქუჩაზე, ხატისიკის სახლში.
თფილისის გაზეთის მცხოვრებელთათვის ადრესი:
Въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи «СѢЛЬСКОЙ ГА-
ЗЕТЫ»: при типографіи Г. Церетели и ко. (Дубовица-
სტამბა)

№ 17 შაბათი

✓

15 სექტემბერი, 1872 წ.

შ ი ნ ა ა რ ხ ა :

თფილისის საზოგადოებრივი განათლების განყოფილებაში, სასწავლო და მასწავლებლის კურსების დასრულების შემდეგ, სასწავლო და მასწავლებლის კურსების დასრულების შემდეგ, სასწავლო და მასწავლებლის კურსების დასრულების შემდეგ...

სოფლის სწავლადეებს.

დღი ხანი არ არის, რაც დღემთის იარაღი დაწესდა, მაგრამ ამ ცოტა ხნითაც საკმაოდ სარგებლობა მისცა იმათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. უწინ რომ ისეთი ჭირნახული უღლებოდათ და უხდებოდათ უწყალობით ფასი დაედა და ყოველი სოფელი დღემთის უფლებსა სიხარულით მიეღის იარაღს, იქნება წლის ნაჭინახული გავსალო და ორი სამი აბაზის რომ სარგებელი წაუმატო ჩემს ოჯახსა, ესეც კარგია.

მართლაც იმისთანა ადგილებში, როცა საურბე გუბნი სოფლიდან-სოფლამდე დაკეთებულნი არ არიან, საცა ხალხი იმდენი ღირბობა, რომ შორს საუაქრო აღაგას თავის მოსავლის გატანა არ შეუძლიანთ, იმ მახრებში და მხარეში იარაღი სწორეთ დიდი რამ

სასარგებლო საქმეა. ამ იარაღის წყალობით მთელი მახრის ანუ უფზის მცხოვრებლები ერთმანეთთან მოიყრიან თავს, მოიტანენ, რაც წლის მოსავლისაგან მოაჩენიათ და ჰყდიან ერთმანეთში, ვისაც რა აქვს მომეტებული, ზოგი მატყულს, ზოგი ბამბას, ზოგი ავეჯულობას, იმა ქვეყნის მოხელე კაცების ნაცეთებს სიყვრებს, ყუთებს, სამოსელს, რკინეულობას, მიწის სამუშაო იარაღებს, ერობს, ყველს, სვერებს, წვილის ოთხ ფეხს და რქიან საქონელს. ამასთან იარაღით დაშორებულის უფზებისა და სოფლების მცხოვრებლებს იქვე თავისე უფზში ეძლევათ ღონისძიება გამართონ ვაჭრობა, მოიგონ ფული და თავისი ცხოვრება გაიუმჯობესონ, ხელი წამართონ გაყიდულ საქონელითა. ამ შემთხვევაში დღემთის იარაღი თვითონ დღემთის მცხოვრებლებისათვის, გორის უფზისათვის, მთიულეთლებისათვის და თიანეთისათვის მეტი არ შეიძლება ისე სასარგებლოა...

ამ მახრებისა და სოფლების თემობას სად შეუძლიან შორს ტფილისში თავის ჭირნახულის წაღება და ყიდა ყოველთვის და რომ კიდევ მიჰქონდნთ საქევა, იმდენი მოიგონ, თავის ჭირნახულში, რომდენიც ქალაქს ჩატანამდის დაეხარჯისთ. ამ მახრების მცხოვრებლებს დღემთის იარაღი აი რა სარგებლობას აძლევს. იქმითნა ჭირნახულის სიხარვისაგან არაფრათ უჯდება, დღემთიელს

გლენსა, მთიულეთელს, ან თიანეთელს. რომ გაუჭირდეს ზურგზე მოაკიდებს და ისე წაიღებს თავის ჭირნახულს დღემთის იარაღი ზე. მეორე იმის ნახევარი და მესამეი დროც არ წაუფა დღემთის იარაღიზე მიტანით, რომდენიც ტფილისსა და გორს ჩატანით; მეორე რიგან ფასთ გაიყიდება ტფილისში თუ არა ისიც დმერთმა იცის.

ამას გარდა როცა იარაღი არ იყო დღემთის სოფლებში გზის სიშორისგანა ქალაქს ვერ ჩადიოდენ თავის ჭირნახულის გასასყიდათ, ქალაქის ვაჭრები მიდიოდენ სოფლებში და სულ იაფად შთაულობდენ სოფლებისაგან იმათ საქონელს, ზოგიერთი ნივთების ფასი გლენსა არც კი იცოდა; თავის დღემში იქნება არც კი გაეყიდნა. ახლა დღემთის იარაღის წყალობით იმის მოწარმეს ყოველ ფერს ფასი დაედა, ყოველმა გლენსა შემოსენებულ მახრებისა უნდა იცოდეს რომ წელიწადში ერთხელ მოუფათ ისეთი ალო, როდესაც ისინი რაკი შეიკრებენ თავის მოსავლს წაყლენ დღემთის იარაღიზე და გამყიდნა მომეტებულს სარჩოს რიგან ფასათ, რომელიც უწინ, სანამ იარაღი არ იყო, სულ ტყულა უბრალოთ უხდებოდათ და უფასოთ ეკარგებოდათ.

ამ წელს ეს არის დღემთის საიარაღი დრო მოდის. იარაღი იხსნება ცამეტ მომავლს ღვირბისთვიდან (ოქტომბრიდან) და იქნება ოც-და ერთ იმავე თემდის, ამ რეა

ქ. შარკის სახ. ქ. სსრ
სახელმწიფო რედაქცია
ბიბლიოტეკა

დღეს რასაკერძოვლია გლენობა მოასწრობს თავის მოსავლის გასაღებას, თუ ამ წინათვე დაიჭერენ თავდარიგს და საიარმუკოთ ახლავე შეუდგებიან მოშხადებას. ამისთვის გამოუცხადებთ რა ღუშეთის უცხადის გლენობას და იმათ მოსაზღვრე სოფლებს ამ ამბავს, ვურჩევთ ახლავე მოგმზადონ ღუშეთის საიარმუკოთ, ისე რომ იარმუკის გამოსის წინა დღით ხალხი იქ უნდა იყოს ყოველს მხრით შეკრებილი თავიანთ საეჭრობაში და, რასაკერძოვლია, მაშინ თვითონ იარმუკაც იმათ იმდენათ ასარგებლებს, რამდენათაც იმისგან მოითხოვება.

სახელმწიფო სოფლებს კეთილდღეობა მდგომარეობის განსახების შესახებ XII ტომი, II ნაწილი.
 ლეხი XII ტომი, II ნაწილი.
 სოფლებს სტარე შექცეს და სხვაგან დასაფარავნად დასაქმებულნი.

306. როგორც სოფლებს, ისე სხვა მგზავრებს არც ცხენოსნებს და არც ქვეითებს ნება არა აქვთ ორ საფეხურ ხელოს ცეცხლი ანთონ დიდ გზებზედა ტყეების მახლობლათ, ყუნების ან ძნების მახლობლათ, ხიდების, მყენების და ლობიების მახლობლათ და სხვა. როცა მგზავრები აიყრებიან, ბძანება არის დანთურელი ცეცხლი მიუცილებელათ უნდა დააქრონ.

307. საცა მგზავრებს ცეცხლი დაუფრიათ გაუქრობლათ, იმ ალაგების მახლობლათ გარემო მცხოვრებლებმა მიუცილებელათ საქართო უნდა დააქრონ, განსაკუთრებით საცა ცეცხლის გაჩენის შიშია.

308. ძალიან გაფრთხილებით უნდა იყონ სოფლებები, როცა ავირებენ ტყის ან ძირკუების დაწვას სასწავისათვის და პოქარნის სტაროსტის ნება დაურთველათ ამ საქმეს ხელი არ უნდა მიჰყონ.

309. თუ სახელმწიფო გლენმა მოინდობა საბაღავ ადგილის დაწვა, ან ძირკუებიანი საქანე ალაგის მოწვა, ეს ალაგი თუ მდებარებს

ტყიდგან ნახევარს ვერსტზე ანუ ნაკლებ მანძილზე, წინათვე უნდა გაავგინოს ეს ამბავი პოქარნი სტაროსტას, რომელიც თვალყურს დევნებას დაუწყებს, რომ იმ ალაგზე გარემო ან თხრილი იყოს შემოკლებული, ან ორი საყენის სიგანეზე მოხნან და ბალახები მოსახარონ.

310. ყანის დაწვის დროს გლენები იქვე უნდა იყვნენ ცოცხებით, ბარებით და წყლით რომ თუ ვინცა ცეცხლი საზღვარს გადასცილებია, მაშინვე დააქრონ.

311. თუ დიდი ქარია ტყის მახლობელი ალაგის მოწვა უნდა შეაჩერონ და მოკიდებული ცეცხლი დააქრონ.

312. ესევე სიფრთხილე მძარტებთ: 1, მინდვრების გადაწვაზე, საქანე მიწის გასასუქებლათ; 2, როცა ნება აქვთ ტყეში ახლოს ასადებათ, ან ის ტყიანი ალაგი სათიბათ უნდა და სხვა, როცა უნდათ მოწვა განაყოფიერონ ძირკუებისა და იქ დაყრილ ფიხის დაწვივით.

313. ტყეებში ვეღების დაწვის ნება არა აქვთ.

314. მწყემსებს ნება არა აქვთ ტყეში ცეცხლი დაგდონ გაუქრობლათ გაზაფხულიდან მოკიდებული 15 ოქტომბრამდის იმ ქვეყნებში, საცა სიციხიანი გუბერნიებია და თუთხმეტ სეკტემბრამდის ჩრდილოეთისკენ.

315. თუ ტყეების მახლობლათ აძრავს მწყემსებმა საქონელი, თუმცა ცეცხლის დანთება დაწვლილი არა აქვთ, მაგრამ უშუქველათ ცეცხლს გარემო ორ საყენ სიშორეზე ბალახი უნდა მოთიბონ და როცა იმ ალაგიდან საქონელს გარეკენ ცეცხლი უსათუოდ უნდა დააქრონ.

სოფლებში და სოფლებს გარეთ ცეცხლან გაქრობის დანახავი.

316. საცა ცეცხლი განიდებამთელ სოფელში ეინც ვა სრული წლოვანი მოიძებნება, ყველანი საქართო უნდა დაბობარნ

იქვე თავის ცეცხლის საქრობის იარაღებით, ვისაც რა იარაღი აქვს განწყობილი, რომ საჩქართო გააქრონ ცეცხლი, დიფარონ კაცები და იმათ საქონელი ცეცხლისაგან.

317. თუ ვინცა ცეცხლი ცეცხლი გახნდა, სახელმწიფო გლენები, რომელიც ცეცხლიდან ამ ვერსტზე დგანან და საცა ცოტა მცხოვრებლებია ოცდა ხუთი ვერსის მახლობლად ან უნდა გამოცხადდენ ცეცხლის ალაგს პირველს დამახებზედვე, რომ გააქრონ ცეცხლი ბარებით, ცოცხებით, წყლით და სხვა ცეცხლის საქრობ იარაღებითა და იყონ იქ სანამდის ცეცხლი სულ არ დაქრება.


СТАТЬИ УСТАВА О БЛАГОУСТРОЙСТВЕ ВЪ КАЗЕННЫХЪ СЕЛЕНІЯХЪ Т. XII Ч. II.
 О МЪРАХЪ ПРЕДОСТОРОЖНОСТИ ОТЪ ПОЖАРОВЪ ВЪ СЕЛЕНІИ.

306. Какъ сельскимъ обывателямъ, такъ равно проѣзжающимъ и прохожимъ, запрещается раскладывать огонь на большихъ дорогахъ и близь дѣсовъ, близь посѣянаго или собраннаго хлѣба, близь сѣнокосныхъ стоговъ, близь мостовъ, строений и огородовъ и т. п. въ разстояніи менѣе двухъ сажень; при отъѣздѣ же или уходѣ разложенный огонь предписывается затушить немедленно.

307. Окружнымъ жителямъ вѣщается въ обязанность тушить и звать оставленный вѣтъ бы ни было непотушенный огонь, особенно въ тѣхъ мѣстахъ, гдѣ предстоить опасность отъ пожара.

308. Предписывается соблюдать крайнюю осторожность отъ пожара при выжиганіи подѣ пашню травъ, жнитвъ, кореньевъ, сучьевъ, дѣся, и приступать къ такому выжиганію не иначе, какъ съ дозволенія пожарнаго старосты.

309. Государственный крестьянинъ, намятвующійся выжигать травы, жнитвы или коренья на подосѣ, разстояніемъ вообще отъ дѣсявой дѣ



ნი, или стрелой въ полъ верстѣ и медѣ, должнъ предварительно извѣстить пожарнаго Старосту, который наблюдаетъ, чтобы вокругъ того мѣста обведенъ былъ ровъ, или чтобы трава была скошена и земля вспахана, или же чтобы вырванъ былъ дернъ и обороченъ корнемъ вверхъ не менше какъ на двѣ сажени шириной.

310. При выжиганіи должны крестьяне находиться близъ выжигаемой полосы съ заступами, ведрами, наполненными водою и съ другими, по возможности, пожарными орудіями, чтобы не допустить огонь распространиться далѣе назначеннаго мѣста.

311. Въ случаѣ сильнаго вѣтра къ сторонѣ дѣнной дачи, выжиганіе должно отложить, а разведенный огонь гасить.

312. Сія же самая предосторожность должны быть наблюдаемы: 1) при выжиганіи естественныхъ мѣстъ, для удобрення ихъ подѣ хлѣбонашество; 2) при дозволенной росчисткѣ лѣсовъ подѣ пашинъ, сѣнные покосы, и т. п., 3) при удобрѣннн полей жженіемъ кудышей и сукровъ.

313. Запрещается выжигать поляны внутри лѣсовъ.

314. Запрещается пастухамъ раскладывать въ лѣсахъ огонь съ самой ранней весны по 15 Октября въ полуденной полосѣ, и по 15 Сентября въ Сѣверной полосѣ Россіи.

315. Если поблизости дѣнной дачи случится пастбище, то хотя и не запрещается пастухамъ раскладывать огонь, однако надлежитъ имъ напередъ вокругъ очага на двѣ сажени шириною сгосить траву, и отходя домой, огонь непременно загасить.

О МѢРАХЪ ПОТУШЕНІЯ ПОЖАРОВЪ ВЪ СЕЛЕНІЯХЪ И ВНѢ ОНЫХЪ.

316. При появленіи пожара въ селеніи, всѣ совершеннолѣтніе жители должны тотчасъ явиться на мѣсто пожара съ огнегасительными снарядами, кому какой назначенъ, и принимать всѣ возможныя мѣры къ скорѣйшему потушенію огня

и къ спасенію людей и иныхъ имущества.

317. Въ случаѣ дѣннаго пожара, государственные крестьяне въ десяти верстахъ отъ мѣста пожара находящіяся, а гдѣ населенія мало, то изъ селеній, на двадцать пять верстѣ, отъ мѣста пожара отстоящихъ, должны явиться по первому призыву, для потушенія огня, съ заступами, мѣлами, ведрами и тому подобными огнегасительными орудіями на мѣсто пожара и оставаться тамъ до тѣхъ поръ, пока пожаръ не кончится.

ს ა ს ო ნ ე ბ ი ტ ვ ი ს დ ე ბ უ ჯ ე ბ ი ს, ტ ო ძ ი VIII, ნ ა წ ი ლ ი I. დაფარვისთვის სახაზინო ტყეებისა ნაცხდისგან.

582. სახაზინო ტყის დაფარვს ცეცხლის შეადგენს ვალდებულებასა სახაზინო ქონებათ პალატისასა და განსაკუთრებით ვალდებულებას გუბერნიისა და ადგილობრივს ლენსინებთა და დამოკიდებულთა შთგან უფზში ტყის მცველთა, ტყის მშირთა და ნამეტნაფარ პაქარის სტაროსტათა.

583. გუბერნიისა და ადგილობრივი ლენსინები და მათ ხელქვეითი პირნი უფზში მოვალენი არიან უყურონ, რომ ყოველივე დაწესებული, გაფრთხილება ცეცხლის განენაზე ტყეში აღსრულებული იყვს ესგანაც ჯერ არს, ესე იგი ხელქვეითებთგან.

584. ადგილობრივი და მახლობელი ზედა მხედველობა, რომ გასაფრთხილებელი წესები აღსრულონ მსჯობრებლებმა ქვეით და ცხენოსან მგზავრებისგან მიენდობა პაქარის სტაროსტებს, იმ საფუძველზედ, რომელიც ქვემოზე აღნიშნულთ კანონებშია ნაჩვენები.

585. სახელმწიფო გლეხი, რომელიც დაპირებს ბალახისა, ნაშვისა და ძირების დავასა ადგილზედ ნახევარს ანუ ნაკლებ ვერსზედ სახაზინო ტყედგან, ვალდებულია წინაწინ აცნობოს პაქარნი სტაროსტას, რომელიც უნდა უყუროს, რომ ის ადგილი გარეშამო იყოს შემოფარგლული თხრლით,

ანუ ბალახი იყოს გათიხული და მწიწა მონული, ანუ ბელტიც ამოკლეჯილი და ძირამობრუნებული, არა ნაკლებ რაი საყენისა სიგანეზედ იგივე სეო სიიფიცი მი ინგნსტენს

586. ამ დაწვის დროს, გლეხი უნდა იზრავებოდეს იმ ადგილზედ მართო, ცუკნობთ, წყლის ჭურჭლით და ამგარი ცეცხლის საქრობ იარაღებით, რომ ცეცხლი არ მოედოს სხვაგან, სადაც არ ეუთუნოს.

587. თუ დიდი ქაი სუბერას ტყის მხარეს, ცეცხლიც მაშინვე უნდა გააქროს.

588. იგივე სიფრთხილე უნდა დიცივან:

- 1) როდესაც მინდვის ადგილსა სწევდნენ გასასუქებლად სახაზისა და საქონლისა გამრავლებისათვის.
- 2) როდესაც ნება ექნებათ მიცემული ტყის გაკაფვისა სახაზისათვის და სხვა საქროებისათვის.
- 3) როდესაც მინდორს ასუქებდნენ ძირკვებისა და ტოტებისა წეითა.

589. ტყის შუა მდებარე ევლებისა გამოწვა აღიკრძალება.

590. რადგან ცეცხლი ხშირად ჩნდება ტყეებში გაუფრთხილებლობისაგან საბატონო გლეხებისა, რომელნიცა სწმენდვენ ტყეებსა სახაზისათვის სახაზინო ტყეების მიჯნაზედ, ამისათვის მებატონენი ვალდებულნი არიან სასტყად უბრძანონ თავიანთ მოურავებს, და სოფლის მამასახლისებს, რომ ახრების გაცეთებისა, ძირკვებისა და ტოტების დაწვის დროს და აგრეთვე ნაშვისა ბალახისა და ძირების გამოწვაზედ, აღსრულონ კანონები შემოზე დაწესებულნი სახელმწიფო გლეხთათვის.

591. საბატონო მოურავები, პრიკაზნიკები და აღმორჩილნი და სახაზინო სოფლებში პოქარნი სტაროსტები, მაღმალ უნდა დაასმინან შწყმოსთა, რომ ტყეებში ცეცხლს არ ანთებდნენ დასაწყისიდან უფრო სიციხიან გაზაფხულისა ოკტომბრამდინ (დინობისთემდინ) გუბერნიებში და 15 სექტებრამდინ სხვა გუბერნიებში, ხოლო თუ საძოვარი არის მახლობლად ტყისა, თუმცა არ

აღკრძალვება ცეცხლის ანთება, მაგრამ იმ ადგილის გარშემო პირველად ბალახი უნდა გათიბონ ორ საყენ სიგანეზედ და, როდესაც მწყემსები იმ ადგილს თავს ანებებდნენ, ცეცხლი უნდა გააქრონ უეჭველად.

592. ჩარვადრებს, ესე იგი ვაჭრებს, რომელთაც პირუტყვი უნდა გაატარონ, ნება ეძლევათ, დაისვენონ სახაზინო ტყეებში და ცეცხლიც ანთონ, ხოლო დღისით; ღამით კი 15 აპრილიდამ, 15 ღვინობისთვემდინ ტყეებში, სადაც ბევრი უფურცლო ეკლიანი ხეებია არაოდეს არ ანთონ.

593. რომელნიც მდინარეებზედ წაეებით დადიან ქარაიანთ და წყლის ნაპირებზედ დგებიან ტყეების წინა, შეუძლიანთ ღამითაც ანთონ ცეცხლი, მაგრამ ისე რომ მდგომიარე ან დაწოლილი ტყიდან ორ საყენზედ ახლო არ იყოს, და ამისათვის ცეცხლის ასანთები ადგილი გზიდან შორს არ უნდა იყოს, ფოთოლი, ბალახი და ამგვარი რამეები უნდა გაწმინდონ, რომ ცეცხლი არ მოეკიდოს და როდესაც იმ ადგილს უშვებდნენ, გააქრონ.

594. ამასვარდა გასაფრთხილებლათ ცეცხლის გაჩენისაგან, ბრძანება მიეცემათ:

1.) ცეცხლი არ გაჩინონ არა რომლისამე მდგომარე გინა დაწოლილ ხეების ქვეშე ხოლო ანთონ ნება რთულ შემთხვევებში არა უახლოვეს ორი საყენისა ამ ხეებიდან.

2.) ანთებული ცეცხლი, როგორათაც ტყეებში, ვგრეთცა მინდერებში არ გაუშონ გაუქრობელი.

3.) სოკოსი და ხილისთვის მოსიარულეთ არაოდეს არ ანთონ ცეცხლი ტყეებში.

4.) თუ ადგილობრივი მმართველობა სადმე ტყეში ანუ ტყის ევლებში ცეცხლსა ნახავს, უნდა მაშინვე გააქროს.

595. კანონები რომელნიცა არიან დაწესებულინი სიფრთხილისათვის ტყის გადაწვისაგან, უნდა გამოიწეროს და საზოგადო ცნობისათვის მიუკრას ქარვანის ჩამოსახდენი საელების კედლებზედ, ღუქნებში და ტრახტირბში გზებზედ.

596. უკეთუ ტყეში ცეცხლი გაჩნდებოდა, პაქარი სტაროსტა, რომელსაც იმ ტყის სიმგრველე ახარია, ვალდებულია აკოდინოს ამისათვის ადგილობრივ ტყის ჩინოვნიკსა ანუ სტანოვო პრისტავსა*) და დაუყოვნებლივ გასაქრობად ცეცხლისა შეჭაროს გლენი იყვლა მემოჯნავე სოფლებისა; ათ ვერსზედ მდგომარეთ, და საცა ხალხი ცოტაა, მაშინ იქიდვან, საცა ცეცხლია იმ სოფლებიდანაც, რომელნიცა დგანან გაჩენილ ცეცხლს ხუთი ვერსის სიშორეზედ

597. გლენი პირველსავე დაძახებულად ვალდებულინი არიან გამოცხადდნენ პაქარის ადგილას ბარებითა, ცოცხებითა, წყლის ქურჭლებითა და ამ გვარი ცეცხლის გასაქრობი იარაღებითა; და დარჩენ იქ გასაქრობლად, ვიდრე წვა გათავდებოდეს.

598. ტყის წვის გაქრობაში ტყის მცველნიც უნდა დაეხმარონ.

599. ტყის ჩინოვნიკი და სტანოვი პრისტავი, რაკი შეიტყობენ წვასა, ტყის ნაწილში, მისტრავებენ იმ ადგილასა, მოახდენენ ყოველ-ღონისძიებითსა განკარგულეობასა და ამისათვის ძალს ატანენ გლენთა, რომ იმ ადგილს თხრილი ანუ რუვი შემოაელონ, რათა ცეცხლი შორს აღარ განიერცეს.

600. ლუბერნიის ღვინისი, სენობს რა ადგილობრივი ღვინისისაგან ტყის წვასა, ვალდებულია თვითაც, გარემოების მიხედულობით, წაიღეს ადგილას და უწადმართოს საქქარო მოსპობისათვის ტყეების ზიანისა და ენებისა ცეცხლის გაჩენისაგან.

ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი

სამართალი

სამჯაფრო კანონების მუსლებების განმარტება.

17. (130) ვინც გააუპატიურებს ვისმეს სიტყვით ანუ წირილით ის დაისჯება:

*) კაცისის ვარ აქეთ მსარეს — მოფიდვის ჩინოვნიკი.

დატუსალებით თუთხმეტ დღემდის, ანუ გადახდით ორმოცდაათ მანეთამდის.

18. (132) ვინც გააუპატიურებს სიტყვით, ანუ წირილით უფროს ნათესავს, ის დაისჯება: დატუსალებით სამს თვემდის.

19. (136) ვინც ხიდრუგის მოკვანებით, ანუ შეწამებით სიტყვით, ანუ წირილით გააუპატიურებს, ის დაისჯება: დატუსალებით ორ თვემდის.

20. (137) ვინც გაამადუნებს საიდუმლოთ ნათქვამს რამე ანუ შეიტყობს საიდუმლოს პარათის გასწინთ და ამითი გააუპატიურებს ვისმეს ის დაისჯება: დატუსალებით თუთხმეტ დღემდის, ანუ გადახდით ორმოცდაათ მანეთამდის.

ყოველი კაცი იმას სცდილობს, რომ თავის პატივი დაიცვას და ამითი იმყოფებოდეს საზოგადოებაში პატივცემულათ; თუ ვინმე შებღალავს კაცის პატივს, ამითი უსპობს მას საზოგადოებაში პატივისცემას, რომლითაც შეიძლება დაუბრკოლდეს ბევრი საქმე, შეიყვანოს ზარალში, როგორც სულიერათ ისე ხორციელათ. ამ ნაირი ბოროტების მოაქმეველი უშეველად დაისჯება კანონით.

21. (140) როდესაც ვინმე დაჭადავება, რომ მოკვლავთ, ანუ გადაწვამთ, და სხვა ბოროტ განზრახვა არა რა აქვს, ის დაისჯება: დატუსალებით ერთ თვემდის, ანუ გადახდით ასს მანეთამდის.

22. (141) თუ რომ ამ ვაჭარ დაჭადავება მოსდეს წირილით, მაშინ დაისჯება: დატუსალებით ორ თვემდის, ანუ გადახდით ორას მანეთამდის.

23. (143) ვინც რომ არასფერს შემწვარს არ მისცემს მშობლებს ცხოვრებაში, როდესაც მას აქვს შეძლება, ის დაისჯება: დატუსალებით სამს თვემდის.

24. (144) ვინც რომ დააგლებს ჩვილს უმწველს იმისთანა ადგილზე, რომ შეიძლება ვინმე იზოჯოს, მშობელნი, ანუ ვისაც მასზედ მზრუნველობა უნდა ქონიყო, ისინი დაისჯებიან: დატუსალებით სამს თვემდის.

პირველი ვალია შეილისათვის, რომ ახლოვროს თავისი მშობლები, როდესაც ამით არა აქვს ცხოვრების შეძლება და შეილს კი აქვს. წინააღმდეგი ამისი მოასწავებს, რომ შეილში არასდროს კაცობრიული ღირსება არ არის, მასში არ არის არც გრძობა-სიყვარული, არც სინდისი. თუ კი კაცი თავის მშობლებს არ შეეწევა, რაღა იმედი არის, რომ მან გასმეს რაიმე შეწყობა გამოუჩინოს. — შეილი ყმაწვილის გადაგება იმისთანა ალაგს, რომ შეიძლება გინმე იპოვნოს; ამიტომ არის საშიშარი, რომ ეგება ვერაფერ იპოვნა დიდხანს; ამდროს მხეცმა რაიმე შეშკამა, ან შიმშილით და მოუყვლელობით მოკვდა. არ ვიცი, რა გეპირება ექნება კაცს, რომ თავისი ნაშობი შეილი გადაგდოს. არა თუ კაცმა, მხეცი არ იზამს ამ გვარ ქტევას. ქათამს წარათვით წიწილი, რაც ძალა და ღონე აქვს გებრძვის, რომ არ დაგინებოს.

25. (145) როდესაც გინმე სხვისის ადგილიდან ქურდულათ წაიღებს ხილს, ანუ მწკნინაღს, ანუ რაიმე სხვა ნუფოფს, ანუ მოკრებს სოკოს, წასდენს ბაღში სეკებს, ანუ დაჭერებს უფაგლებს; ანუ წაიღებს ჭიჭიას, თიას და სხვას; დამნაშავე დაისჯება:

გადახდით ათ მანეთამდის.
26. (146) გინც სხვის ადგილში ჰატრინის უნებურათ ინადრებს, ანუ თევზს დაიჭერს; დამნაშავე დაისჯება:

გადახდით ოცდა ხუთ მანეთამდის.
27. (147) გინც გაიგდის, ან ფეით, ან ტხნით, სხვის ადგილში, როდესაც მოსაჯელი არ არის შეკრებილი, ან ახლასი არ არის მოთაბული; ის დაისჯება:

გადახდით ათ მანეთამდის.
28. (148) გინც რომ გატყავს პირუტყვს სხვის სახლასოზე, ან ახლასეკენ სხვის სამოკავში, ან ტყუში, ჰატრინის უნებურათ, ის დაისჯება:

გადახდით ათ მანეთამდის.
29. (151) გინც რომ ძალათ წართმევს იმ

პირუტყვს, რომელმაც გააფუჭა სახლასო, ან სხვის ადგილში ქსნოჯა, ის დაისჯება:

გადახდით ათ მანეთამდის.
30. (152) გინც რომ წასდენს სხვის თხრალს, ანუ ღობეს, ის დაისჯება:

გადახდით ოცდა ხუთ მანეთამდის.
შენი შენა. გარდა ამ სასჯელთა, რომლითაც დისჯებიან დამნაშავენი, იმათ გადახდებათ ფასი მთელის ზარალისა.

ყოველი კაცი, რომელიც იკეთებს თავისათვის ბაღს, ბოსტანს, ანუ ვისაც აქვს სახადირო ადგილი, ან სათევზე, ან საძოვარი — საბაღანო ყველას თავისათვის უნდა. სხვამ შეიძუშაოს, მე კი ვისარგებლე სხვისის მუშაობით. რა რიგია: თუ გინდა შენც იმუშავეს და შენც გეკენება. ან თუ ჩემს კუთვნილებას შეეცებო ჩემს უნებურათ, ეს არის წართმევა ქურდობა რომელსაც კანონი სიმართლით საჯავს.

31. (154) გინც მოიპარავს ტყედი სეკებს, ან დამსადაბულს სეკს და ფიცარს, ის დაისჯება: დამწყვედვით საპყრობილეში სამიღამ ექვს თვემდის.

32. (159) გინც რომ იყიდის ნაპარკეს სეკებს, და იცის რომ ეს ნაპარკეა, მას ნაპარკითმევა ყოველი ესენი და დასჯება:

პირველ და მეორე შემთხვევაში გადახდით იმ ფასის, როგორც დასყიდი აქვს; მესამედ, გარდა ამ გადახდისა, დამწყვედვით საპყრობილეში ერთიღამ სამს თვემდის.

33. (167) გინც რომ აღმოუჩინოს წინააღმდეგობას ტყის მგველეებს, მგვრამ ძალას არ იმხარს, ის დაისჯება: დატუსაღებით ერთს თვემდის.

34. (169) გინც მოიპარავს რაიმეს, დიწრულს სამს მანეთამდის, ის დაისჯება: დატუსაღებით საპყრობილეში სამიღამ ექვს თვემდის.

35. (170) წინა სტატიაში მოყვანილს ხსნაჯვას მოემეტებს დატუსაღება ერთს წლამდის:

1) როდესაც ქურდობა მოხდა საყდარში, ანუ სხვა სალოცავ ადგილზე, მაგრამ ნაპარევი არ ეკუთვნის ეკლესიას და არ შეიძლება საწმინდე; ვერათევე ვინც გასაკარცემს კვდარს, რომელიც ვერ არ არის დასაფლავებული.

2) როდესაც ქურდობა მოხდა ღამით.

3) როდესაც ქურდი შეიპარა ფანჯრიდან, გადავიდა ყორზე, ანუ ღობეზე, ან შევიდა სახლში, ვითომ სხვა მიზნისა გამო.

4) როდესაც მოიპარა უკანასკნელი საჭირო სახლო მისთვის, ვისაც მოჰპარა, და ქურდმა იცოდა ეს გარემოება.

5) როდესაც ქურდობა მოახდინა მოსამსახურებმა, იმის სახლში, ვისაც ემსახურება.

36. (171) შემთხვევათ მოსესწავლი სსსჯელი შემსუბუქება ნსსჯელამდის:

1) როდესაც ქურდი თავისის ნუბით უბრუნეს მატრანს მოპარულს.

2) როდესაც ქურდობა მოახდინა მან, ვისაც სსსჯელით სსსრდო არა ჰქონდა და არც რაიმე სამუშაო.

3) როდესაც ნაპარკეს ფასი არ ააწევს ორმოცდა ათ კოპეკს სვეით.

37. (172) გინც მოიპარავს მიილა ქურდალასში და ან დამალვ ქურდი. ის, დაისჯება, როგორც თითონ ქურდი. მაგრამ მომრიგებელ მოსამართლეს (მიროკოი სუდას) აქვს ნუბა, რომ ეს სსსჯელი შეუმსუშუქოს.

როგორც ხედავ, მკითხველო, ქურდობას სასტიკი სასჯელი აქვს. წართმევა სხვისის საკუთრებისა, განსაკუთრებით ამის, ვისაც მეტი აღარაფერი რჩება, სწორედ მიიმე ნაშაულობაა. მე მიღაწინა ვინ იცის რამდენის ხნის ოფლის ღირთ, მუშაობით, საზოდო მომიპოვებია, შენ მოდიხარ და მართმევა ამიტომ ხდება ქურდობა ნაშაულობით და ოს ტატობით, რომ ყველამ იცის, რომ ქურდობა ცუდი საქმეა, და თუ იმ ქურდობაზე დაიპირეს მიიმე სასჯელი მიადგება. ხანდისხან მოხდება, რომ კაცი წავა საქურდლათ, მკორედ რამეს მოიპარავს, ამ ქურდობაზე დაიპირენ და ამასაც ისეთი სასტიკი სასჯელი



მიადგება, როგორც ბევრის ქურდს არა სჯობს რომ საქმე არ გაევიტროვოთ, ვაზრობოთ და ისე შევიძინოთ, როგორც შეუძენია იმას ვისაც ეპარაეთ. თავის შრომით მოგებულ ლუკმა ბევრი უგემირიელისა, ამიტომ რომ არა ვისა არ გემინია; ნაპარევი კი მჭირდა, ამიტომ რომ ჯერ სინილისი მუდამ გაწუხებს და მერე გემინია არ შემიტყუნო.

38. (173) ვინც სსწაშში, ან წომაში გჭრების დროს მოატყუებს, ანუ რაიმე სხვა რიგი მოატყუებით გამოარჩენითი სარგებლობა არ ჰქონს მანეთს ზეით, დაშნაჲვე დასჯეს:

დატუსაღებით საპრობილემო ერთიღ გან სამს თვემდის.

1) ამავე სასჯელს მიეცემა ვინც შუუტკულის ნივთს, რომელიც მას ჰქონდა მისარებო.

2) ვინც გამოატყუებს ვისმე ფულს, ანუ ნივთს, რაიმე ტრუ ამის მოგანებით, ან მოტს უუბით, რომ ბუკნს სსრგუაქს განგებოთ და სსგ.

3) ვინც რომ განსესებულ ფულს მიიღებს და ზირასის ქალადს ან დაუბრუნებს და ანც გირავოს რაიმეს.

39. (174) ვინც რომ ნაზონს ფულს, ან ნივთს, მიითვისებს, ან სხვის აღგაში ნაზონს ზადეს, რომელსც იცის ვინ არის მისი ჰატრანის, ის დასჯეს:

გადახდით სამ იმდენამდის, რამდენიც მიითვისა.

40. (179) ვინც რომ იზონის ფულს, ანუ ნივთს, ან იცის ვის ეუთუნის, და სამის კაიანს განსაჯლობაში ან გამოაგნადებს ამ ნაზონს, ის დასჯეს:

გადახდით იმოდენა ფულისა, ანუ ფასისა, რამოდენიც ნაზონი იყო.

41. (180) ვინც იცის, რომ ესა და ეს ნივთი ანუ ნაზონია, ანუ გამოატყუარა, და ამ ნივთს ან იუიდას და ან გირაოთ მიიღებს, ის დასჯეს:

დატუსაღებით სამს თვემდის, ანუ გადახდით სამს მანეთამდის.

ზნეითა ვითქვით, რომ ქურდობა ცუდი საქმეა, მაგრამ არც ესენია ნაკლები. უცანასკნელი ჩემი ნაღვწი მქონდა ჯიბეში, გამივარდა ჯიბიდან. შენ იპოვე და დამალე, ჩემი, ვინ იცის რამდენის ხნის, ნაშრომი გადამოვიდა შენთან ყოვლის უშრომლად, რა რიგია, ერთის სიტყვით, რასაც კაცი ყოვლის უშრომლათ იშოგენის, და ეს ნაშრონი ეკუთვნის სხას, უკანონოა. ბევრჯერ მოპოვებული იტყვის; ღმერთმა მომცაო. არა ღმერთმა კი არ მოგცა, შემთხვევამ მოგცა. როცა ნაზონი რაიმე დამალული გაქვს ჯიბეში, ყოველთვის გემინია მისი გამოჩენა, როგორც ნაპარევისა. რათ გემინია ამიტომ რომ თითონვე შენ შენი სინილისი გეუბნება, რომ ეს მოქმედება არ არის კარგია. რაც კარგია არ ის, იმას ნუ ზნამ, თორემ კანონი დაგჯის, უყუთეს არ არის, რომ ნაზონი მიუტანო მის პატრონს, ის იმ ნაზონიდან წილს მოგცემს და ეს მცირედი უფრო გემირიელად და სიმშვიდით შეგერგება, მინამ ნამაღიეთ რომ შეტი გქენებათ.

ორიადე სიტყვა ჩვენ სამღვდლოებოს მდგომარეობაზე


«დროების» 36 № შინამეწი იყო დაბეჭდილი მღვდლის უფ. შარაბიძის პასუხი, რომელშიაც ის ბევრს მართალს ამბობს ჩვენის სამღვდლოების ბევრს შემთხვევაში უზრუნველი მოქმედებაზე და იმათ გაუნათლებლობას ამტიკებს იმათი ღარიბი ცხოვრებით. მიუხილებლათ იმათ რომ მომიტებული საშუალო ჰქონდეთ, უკეთესს განათლებასაც მიიღებენ და კარგი ვაღენაც ექნებათ თავიანთ მრევლზე. მაგრამ მღვდლების სიღარიბე კი განსაკუთრებით იმ მიზეზს არ მიეწერება, რომელსაც უფ. შარაბიძე აბრალდებს. მკვლითად ვითომც თვით გლეხობა და თავად აზნაურობა არ აძლევდენ მღვდლებს განწესებულს უღლუფას. შინ რომ შეილებს გიშოიდეს გარეთ ტაბლას რა უნდაო, სწორეთ ასე ჩვენი გლეხობის ამაჲი. ისინი საზოგადოათ ძალიან და-

ცემულ სიღარიბეში არიან ჩვეარდნილი და რომ ათას ნიურ გარდასახაღმო, თუ სახელმწიფო უფასი, თუ საბატონო და საეკლესიო, მღვდლებსაც ცეღარ გაუფილენ, რა დიდი საქმეა. მღვდლების სიღარიბე უფრო საზოგადო სიღარიბის მიზეზს დაბრალდება. ჩვენი ქვეყანა საზოგადოათ ვალდებულთაა და იმათში რასაკერგელია მღვდლებიც და რიბათ არიან. რაიცა შეგებნა თავად-აზნაურობას, რასაც იმათზე ამბობს უფალი შარაბიძე სულ მართალია და არ შეგვიძლიან სრულათ არ გადმოგებულათ ეს ალაგი დასოფლო-განეთში:

განს ზღორული შემოსავალი რომ დაენიშნა სამღვდლოებს, თუ ეს დაწესებულება რიგია-ნათ შესრულებულიყო, ესე იგი თუ გარდაწყვეტილი შემოსავალი მრევლისაგან უკლიოსათ ეძლეოდესთ სამღვდლოებს, არა ზირ და ზირ მათ სამღვდლოების თხრენით, რათაც მოიღის მღვდელს და ხალხს შუა უკმაყოფილება, არამედ საშუალებით ერთ რიგათ სამღვდლოებისთვის საწუგეშო იქნებოდა და მრევლსაც ამათთან კარგი განწყობილება ექნებოდა. ეხლა რადგან ეს მისაცემი ზირ და ზირ სამღვდლოების მოთხოვნილებათ არის და მაშინაც არ აძლევენ, მაშ რა მოსაობს მღვდლებს და მათს მრევლში უკმაყოფილება?

ჩვენ მხარეზე (რაქაში) უმეტესად თავად აზნაურობა არის უარის მიტყველი ახალი დაწესებულის მიცემისა, უზნობენ რომ თუ ეს მიეცეით, შევდგომ ფულათ აქცევენ ამას, ხაზინაში შეიტანებენ და შეგვექმნება ეს გარდასახადი როგორც გლეხებს; ამათის ამგვარის უსაფუძყო ჰაზრის დამშვიდება სამღვდლოებს ხომ არ შეუძლიათ და არც გაუგონებენ.

მე მოვიყვან აქ ჩემის მრევლის შემოსავლის ანგარიშს, რომლითაც დარწმუნდებიან სამღვდლოების მოპირდაპირებები, რომ სწორეთ მართლათ შესაწყობელი ყოფილანო. მე მყავს 48 კომლი მრევლი, რომელთაგან ოთხი ისრეთია, რომ არა თუ მისცემენ რასმე მღვდელს, თვითონ ისინი შესაწყენენონ არიან;



მაშ დარჩა 44 კომლი, აქედამ შემოვა წლითი წლობამდ ხორავათ და ფულათ სულ 141 მან. და 40 კობ. აქედამ მეოთხელს პრიეტუნიკი წაიდებს და დარჩება მლუდელს. 106 მანეთი და 3 კაბ. ესლა განსაჯე პატროსანო მკითხველო, რომელი მეკუენავე ან შარეული დათანხმდება ამ ჯამაგირით იმსახუროს? ეს ფული მოჯამაგირეს უნდა მისცეს და თეითონ სახლობით უნდა დარჩეს უარსაფროთ. აი ეს გახლავსთ ჩვენი გარდაწყვეტილი საზრდო, ვითომც ჩვენდა ვასაუმჯობესებლო.

სმინათ წაგვიკითხავს ვახუთებში: ამა და ამ ადგილს შკოლას არის, მაგრამ მასწავლებელს ემევენ და ვერ უმღვიათო; სხვაგან — შკოლას აპირებენ, მაგრამ ისრე მასწავლებელის უყოლობა აბრკოლებსთო. რა არის მიზეზი იმისა, რომ მასწავლებელი ვერ უმოკითხავს სასოფლო შკოლებში? მიზეზი ის არის, რომ ცოტა სამღვდლოები არიან ისრეთი ნიჭიერები, რომელთაც შეეძლოს შკოლაში სწავლებე ყმაწვილებისა და ნიჭიერი მღვდლების უყოლოკობის მიზეზი ხალხი და საზოგადოება არის. ამა ერთი სამღვდლოებს საშვალეა მიეცეს ხეობიანი ცხოვრებისა, და მაშინ ნახეთ, რამოტოლი გამოჩნდეს კურს გათაეზულეები. მაგრამ ამათ კარგათ იციან სამღვდლოების საზარალო მღვდოანეობა და როცა სასწავლებელში კურსს ასრულებენ, მაშინ იმათ ის ხომ არ მოსდისთ აზრში რომ მათის მამა პანის წოდების ხარისხი დეკოან; ისინი წინ და წინ იმას ფიქრობენ: სად მოვიძიოთ ადგილიო, ესე იგი სამხედრო სამსახური გვიჩვენებთ, ათუ სამოქალაქოო? და ამ სამსახურში ნიჭსაც არ ატყობდნენ, თავის თავს უმჯობესად სთვლიან სადმე მწერლობა და არაილოვით ფეხი შედგან, რომლებიც მალე მოვილიან წარმატებას და ექმნებათ უკეთესი ცხოვრების საშუალება. ან კი ვინ უძრავებს მათ ამგვარს ფიქრს. ნათქვამია თვეები ეძებს ღრმას წყალსო და კაცი კარგსო და რომ ისინი, კურსოვნიკები სიხარულით მიიღობდნენ მღვდლათ, ამისათვის სამღვდ-

ლოების გაუმჯობესობისათვის უნდა ფიქრობდეს ვინმე რამე... ამის მერმე შესანიშნავია უფ. შარაბიძის გამოანგარიშება მღვდლის შემოსავლისა.

საქართველო

„დროების“ კორექსიონდენტები

წრეულს იგილისს გასრულს მე მომიხდა ქართლში წასვლა ამ დროს, რასაკვირველია, ყოველთვის გაცხარებულნი მუშაობა არის ხოლომე საოფლებში. ხლეს-კაცს რომ შეხედო, რაღაც ბედნიერებას წაიკითხავს იმის სახეზე. თუმცა დაუსვენებლათ მუშაობს, მაგრამ, საესე კალმა რომ შეჰყურებს, ჯავა აღარაფრათ მიაჩნა. წრეულს კი ასი ვერსი მეტი გავიარე და ვერსად ვერ შევნიშნე ის მოძრაობა და სიხარული, რაც მკათათვის შეჰფერის. ზოგან კიდევ გაეთაებნათ ლეწვა და კალო-საბძელი ორათ იყენენ და ვისაც კი ძნა ედგათ, ასეთი საცოდობისა იყო, რომ პატრონები სრულიათ არ ემუშებოდნენ ლეწვას, დარწმუნებულნი იყავით, რომ შემოდგომის სიციფები ვერ მოასწოვდნათ იმათ.

სიმინდებიც საზოგადოთ არ ვარგანან. ურწყავებში თითო მტკაველზე ამოსულან და იქვე უტარათ გაყვითლებულან. და საცოტა წყალი მაინც გადარჩენია ამ საშინელ გავლას და ვი-ვაგლახით და თავის მტრე ვით რებია ვისმე, კიდევ იქნება თესლი აი-ლოს მაინც ყანებისათვის. ბეგრან სრულეებით თავი დაუნებებათ და შიგ საქონელს აძობებენ. გზაზე ორ-სამგან მკოდნენ მე ხურ და ფული მოკამზადე, მეგონა, ჩვეულებისა მებრ; მამკლები ხელეუფებით მოგვეგებებიან და გზას მეგვეკრამენ მეთქი, მაგრამ ტყუილათ: ასე დალონებული და გაქუმეული შესცქეროდნენ თავიანთ ერთ მტკავლის სიმაღლე ყანას, რომ არც სიმდგრა და აღარც მგზავრი ავანდებოდათ.

მე ორ-სამ დღეს დეჭირი ერთ საოფელში,

სურამის მოახლოებით, და აქ ენახე სხვაგვარი შორის შემდგვი საცოდობა, რომელიც კიდევ საოფელში მუდამ სუფევს. მებატონის კალოზე ვაჭარი სომეხი კოდ ქერს სამ მანათლ იწყამდა და აქვე მოახლოებით იმის მოჯამაგირე გლეს-კაცის კალოზე ოცდახუთ გირენჭიანი ჩანახით კოდს ოთხ აბაზათ. მე ამან ძრიელ გამაკვირვა და მიზეზი ვიკითხე, საცოდვამა დედა-კაცებმა, რომელნიც ნწველს ტომარას უწყევდნენ, თითქმის შემომტირეს: ამ ზამთარს დედამთილი ვადაგვეცკალო, სამარხნ არსად გვეკონდაო და სურამელ ვაჭარს კოდს ოთხ აბაზათ დაუკეთეთო. გვეგონა, კი მოსავალი მოგვივიდოდაო და აი დმერთმა რა რიგათ ვილადატო: მე ვთხოვე ვაჭარს, როგორც ჩემ ძეღ ნაცნობს, კოდში ოარი აბაზი მაინც მოუმატე, რადგან კიდევ დიდ მოგებაში იქნები მეთქი; მაგრამ ჩემ თხოვნაზე ვაიციანა და მითხრა მე რომ კიდევ ღმერთისთვის არ შემებნდაო, ეგენი ისეთ ვაჭირებაში იყენნო, რომ სხვებს ათ-მეორათაუ დაუკეთდნენო. მაშ, თქვე დალოცვილო, ჩვენ რალამ ვეცახვაროს, თუ ვგრე არას გამოვჩინეთ? იმა მტკავლემ კი რამოტოლი რა ქნას უბედულმა გლეს-კაცმა ამ უჭინახულობაში? ბერს იმოღვენა არ მოსდის, რომ მომავლისთვის დათესოს რამე და ნახე ვარ წელიწადს გამოიკვებოს; ამ შემთხვევაში რითი გასცეს პასუხი თავის მოვალეებს; რომელნიც თითქმის ყოლზე თოკს უტყერენ? უმეველია, სარგებელი თავნზე უნდა შეუსვას, ერთი მშატრი სარგებელი კიდევ მოუმატოს და თამასუქი გამოუტყველოს; ვარდა მოვალეების რამდენი მწუწავი ჰყავიან კიდევ ამ საცოდვას. თავის წლის მოსავლით უნდა ვაღინახოს სახელმწიფო ხარჯი. მისცეს ღალა და სამსახური ბატონსა მღვდელს, დალაქს, მენახირეს და სხვა მრავალ ამ გვარ მგლევებებს. ან რითი ჩაიცვას, ან რითი გამოკვებოს თავისი ცოლ-შვილი? აუკიდებელია ისე ვალი უნდა აიღოს — თუშანი ათმურათ, მე თითონ ვყოფილვარ მოწამე ბვერჯელ ამ გვარ სარგებლის მიცემაში. მერმის რომ ბეჭეცი მოუვი-



დეს, მიინც ისევე ეს დღე დაადგება: კალოზე ვალს გადინდის და ზამთარში ისევე აიღებს.

ზოგადი მთებზე იმეორებოდა, იქნება რკინის გზამ გვიშველსო, სამუშაო გავეინდეს რამეო, მაგრამ მე ამის იმედი სულ არა მაქვს მეტადრე იმ სოფლებსთვის, რომელნიც სტანციებზე მოზარებით არიან. თუ ვასასყიდევნებთ რამე, ისევე თავიანთ ურმებით წაიღებენ ქალაქში და რკინის გზაში კი ფულს არ მისცემენ. რკინის გზა იმათ არას არცებს.

ბერს ელაზარაკობთ, ვცდილობთ გლესკაცის ფონების გახსნისთვის და იმას კი გვიწვევთ, რომ ჯერ იმისი ეკონომიური მდგომარეობა უნდა გავაუხვრობებოთ თუმცა ჰკუაგონების გახსნა კარგია, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ გლესკაცი მხოლოდ მაშინ მოაქვდა თავის აშვილს მუშაობას, როდესაც იმის შვილის შრომა არ ესაწირება. სრულებით უსაუქმლო არ იქნება ეს თქვათ, რომ ის სიღარიბით არის უსწავლელი და არა ღარიბი უსწავლელით. რამდენჯერ გვიჩვენიათ გლესისთვის, რომ ერთ შვილზე სწორეთ ხელი აიღოს და ხელოსნათ მისცეს, მაგრამ იმის პასუხი ყოველთვის ეს არის: ჩემი შვილი ჩემ სახლში რასაც ვამიკეთებს, ჩემიო და გარეთ წასული კი მე აღარას მარგებსო. თავის თავს სხვამ გამოადგებაო, რომ უთხრათ, თავს გაიქნევს: შვილი მიტრამ მიხარიათ, რომ მე მარგოს რამეო—და არც არის ამაში გასამტყუნარი, რადგანაც იმის კეთილმდგომარეობა მომატებულ მუშა ხელზე არის დამყარებული.

მაგრამ გლესკაცი რავასამტყუნარია, როდესაც მებატონეებზე საზოგადოთ უსწავლენი არიან საითაც. უნდა მიიხედო, სიღარიბის მეტს ვერას დაინახამ იმათში სიღარიბეს როგორათაც გონებით, აგრეთვე ცხოვრებით ესაც დარჩენიათ რამ მამა პაპისა პატარა მომატებული და არ გამარჯვებულან, კიდევ ლუკმის გზა აქვთ, ეშურებიან ცხოვრებას და ამით უახლოვდებიან სიღარიბეს.

ზოგი მამულებს ჰყიდის, ქეიფობს და წვეულებას მართამს. და ვინც არა ჰყიდის, მიინც ისიც სხვას აოხრებინებს მამულს. და რომელიც გამარჯვებულან და მამული არაჰყოფნით, ისინი გლახაკობენ, ან ტაციობენ. გლახაკობა, ტაციობა და ლოთობა კი სათაკილო არ არის და მუშაობა კი თავადის შეილობის დამამკირებელია...

შვილების აღზდაზე ხომ სრულებით არ ფიქრობენ. თუ როგორმე ღმერთი ხელს მოაუშართამს ვისმე და რუსეთს გავზანის შეილსა სახელმწიფო ხარჯით, ხომ რა კარგი. თუ არა და მამის გზაზედ მიდის შვილიც. თუნდ რომ ჩამოიყვანოს კიდევ ზოგიერთმა თფილისში, ბევრი-ბევრი ორ წელიწადს დარჩეს გიმნაზიაში. დედამისი მაგალითებით აღზდილი, ისევე მიეზურება სახლში; თერამეტსტრამეტი წლისა ცოლს ირთამს და ამარჯვლებს თავის მგზავსებს. ნეტა მათს მაინც აუთახებდნენ. სათაყვანე მიიხელოს კაცმა, ყოველ მხრივ ტყვებს სწვენ, რომ იმის ნაღვლივი სახნავათ დაღონ შე მახსოვს ამ ორისამის წლის წინათ, ერთმა მებატონემ ქართლში ტყე მისცა გასაჩხვით იმერლებს. კომლზე სხუთი მანათი უნდა ეძლიათ წელიწადში და რამდენიც შესძლებოდათ, იმდენი ტყე გეჩვენათ. მხოლოთ ხუთი წლის შემდეგ დღიურზე კოდ ნახევარი ჰინახული უნდა აძლიონ; ხუთი წლის შემდეგ, როდისაც იმ მიწას ძალა გამოეყვება, გლესი-კაცი თავს ანებებს და ამ გვარივე პირობით სხვას დაუწყებს ჩხვას. რომელიც ამ ოთხი ხუთი წლის ჩინათ უღაბნო ტყეები იყენენ, ესლა ძაძლებს დაგვანებიათ.

ყველამ იცის რომ ეს ერთი თვეა, ყოველ მხრივ დიდ ტყეებს საშინელი ცეცხლი უკიდია; ამ უბედურების მიზეზს ჩვენ უნდა ეეძებდეთ ისევე ზემონათქვამ ჩვეულებაში. მი თომ რა დიდათ გაუჭირდებოდა რომელსამე ოსს ამ მითულს წაიკიდნა ტყისთვის ცეცხალი და მოზღვებოდა ყველგან ამისთანა გვალვაში? იმათ კარგათ იციან რომ მებატონე

მაგრე რიგათ არ იწუხებენ, მამულსთვის ოლონდ კიდევ რამდენიმე ღალა დასაძალახე აიღოს, ტყე კიდევ დარჩებო და კიდევ განდებო; ის კი არ იცის, რომ ის ტყე რამდენიმე ასი წლის განმავლობაში აღზდილა. რაც ბუნებას ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში გაუკეთებია, კაცის ხელს ერთს წაშლი გაუწუდადგურებია. ის კი არ იცის რომ ტყის მოსაპობას მოზღვეს გვალვა, უწყულობა, შავის სიხმლე, რომელნიც მაშინვე აგრძობანდენენ ზარალს, თუმცა კი ის ვერ იტყობს მიზეზს.

ამ სახით თან-და-თან უნდა მოველოდეთ უფრო დიდ მოუხველობას. თუ ესე ვაარობრებო საქართველოს ტყეებს, ისევე ბევრით სჯობს რომ კერძო არგებიან მოაერობამ შეესყიდოს და შეიმავროს, იმათი მიინც ვადაარჩენენ საქართველოს იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც არიან ჩავარდნილნი სხვა ქვეყნებიც, ამგვარი მიზეზებით, მაგალითად: სპარსეთი, ესპანია, ზოგიერთი მხარე ინგლისი და სხვა.

1872 წ. თფილისი. **გ. განსვილის,**

გ ა ნ ს ვ ი ლ ს ი

გ ა ნ ს ვ ი ლ ს ი

ქართული ანბანი და ზარგელი საკითხვა წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, გამოვიდა მესამე შეცვლილი გამოცემით და ისყიდება მელოქიშვილის სტამბაში და სასულიერო სემინარიაში; ჩქარა ვაიგზავნება საქართველოს ქალაქებში; ფასი ყველგან ერთი შაურია.

მასთან ცალკე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ვასასყიდეთ დარბაზში, თუ როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა წერა-კითხვა ანბანში და პირველ საკითხვე წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან; ამ ბრძოლურასთან ვაისყიდება დიდი მოძრავი ასოები. ფასი დარბაზისა და ასოებისა ერთათ ყველგან—ერთი შაურია.